პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ДЕЛО

№ 220 (5250)

1974 წ. ნოემბერი, სამშაბათი. 5

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ЗАЛА

კიდევ ოთხი დარბაზი და საცურაო აუზი

ჭიათურაში დიდი ყურადღება ექცევა საშუალო და რვაწლიანი სკოლების სპორტული ბაზების მოწყობას, ოც საშუალო და რვაწლიან სკოლას სრულყოფილი სპორტული დარბაზები აქვს. წლეულს ამ ბაზებს კიდევ ოთხი დარბაზი და ერთი საცურაო აუზი შეემატა.

ახალი დარბაზები აშენდა დარკვეთის, ზედა უსახელოს რვაწლიან, ითხვისისა და ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლებში.

მე-7 საშუალო სკოლის დარბაზი, რომელიც 710 მოსწავლეს მოემსახურება, სარეკორდო დროში — ექვს თვეში აშენდა. ამ დარბაზს ყველა პირობა აქვს, რომ საქალაქო მნიშვნელობის შეჯიბრებებს უპასპინძლოს.

ზედა უსახელოს სკოლაში აგებული საცურაო აუზი ერთადერთია მთელი რაიონის სოფლის სკოლებში. ამ დღეებში ახალ აუზში დაიწყება სოფლის ახალგაზრდობის პირველი საქალაქო შეჯიბრება მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად.

შ. ტატიშვილი.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

ДАიწყო!..

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, სტარტი აიღო საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირმა.

I ტურში გაიმარჯვეს საბჭოთა დიდოსტატებმა ი. კუპერმანმა (კიევი) და ა. განტვარგმა (მინსკი). პირველმა მოუგო დონ კანდანეს (შრი ლანკა), მეორემ — ვ. კონვერსკის (ჰოლონდია). რიგელი დიდოსტატი ა. ანდრეიკო დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ფ. ვალდრინგთან (სურინამი) შეხვედრაში და ყაიმს დასჯერდა. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, გ. განიონი (კანადა) — გ. ბადიალისა (იტალია) და ბ. კადერაბეკ (ჩეხოსლოვაკია) — მ. ლეპტიჩის (იუგოსლავია) პარტიები.

თავისუფალი იყო დიდოსტატი ხ. ვირსმა (ჰოლანდია).

II ტურში კვლავ გაიმარჯვა კუპერმანმა, რომელმაც ლეპტიჩს სძლია. განიონმ დაამარცხა კონვერსკი, ვალდრინგმა — კანდანე. ყაიმით დასრულდა ვირსმა — განტვარგის შეხვედრა, თავისუფალი იყო ანდრეიკო.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

„იოლი ცხოვრება“ აღარ იქნება

სსრ კავშირის ჩემპიონს ცსკა-ს წლეულს რამდენიმე ფრონტზე მოუხდება ბრძოლა. საკავშირო პირველობის პარალელურად იგი უნდა მოემზადოს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებისთვის. ამას გარდა, საბჭოთა ნაკრები, რომელიც ძირითადად არმიელი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული, გაისად ევროპის ჩემპიონატშიც იასპარეზებს. ამიტომ საბჭოთა საკალათბურთო საზოგადოებრიობის მთელი ყურადღება არმიელთა გამოსვლებისადმია მიპყრობილი.

42-ე საკავშირო ჩემპიონატის სტარტზე ცსკა-ს მწყობრ მექანიზმს ბზარი გაუჩნდა. არმიელებმა განმეორებითი შეხვედრა კუნასში წააგეს ადგილობრივ „ჟალგირისთან“ — 76:87 (36:46). ეს შედეგი თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ ახალი ჩემპიონატის მთავარ სენსაციათა რანგს. საქმე ისაა, რომ არმიელები ბოლო წლებში სეზონში ერთ ან ორ მატჩს თუ აგებენ მხოლოდ, ისიც მთავარ კონკურენტებთან (მეტწილად ლენინგრადის „სპარტაკთან“). სწორედ ამიტომ, „ჟალგირისთან“ მარცხი სრულიად მოულოდნელი იყო, მით უმეტეს, რომ ლიტველი კალათბურთელები წინა სეზონში რის ვი-ვაგლახით გადაურჩნენ დაბალ ლიგაში გადასვლას.

მაშ ასე, სეზონის პირველი სენსაცია მოხდა 2 ნოემბერს, კაუნასში ცსკა-მ დაკარგა უთუოდ დაგეგმილი გამარჯვება. და ისიც როგორი ანგარიშით — მთელი 11 ქულით! მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემპიონის ამ მარცხს „საძირკველი ჩაუყარა“ რამდენიმე დღით ადრე, როცა მან პირველი ტაიმი წაგო უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან, ვილნიუსის „სტატიბასთან“ პირველ ორთაბრძოლაში — 36:39. ასეთი რამ ჩემპიონს სხვა დროს არ მოსვლია, ისიც ახალბედასთან შეხვედრაში.

როგორც ჩანს, მიმდინარე ჩემპიონატში არც ერთ კოლექტივს, მათ შორის ყველაზე გამოცდილსა და ტიტულიანსაც კი, არ ეშინია „იოლი ცხოვრება“. ცსკა-ს მარცხი სერიოზული სიგნალია ყველა გუნდისთვის, ვინც კი ფიქრობს, რომ ყოველ საკავშირო ჩემპიონატში არსებობენ ძლიერი და სუსტი გუნდები, აშკარა ფავორიტები და აუტსაიდერები წინასწარ განაწილებული როლებითა და ფუნქციებით.

2 ნოემბერს გაიმართა ჩემპიონატის კიდევ ერთი მატჩი ლენინგრადში, ადგილობრივ „სპარტაკსა“ და ტურნირის დებიუტანტს — სვერდლოვსკის „ურალმაშს“ შორის. ამ შეხვედრაში ფავორიტი მოწოდების სიმაღლეზე იდგა და გაიმარჯვა კიდევ — 108:82 (46:38).

ნ. ახვლედიანი.

ნაკმგობმა გული გვატკინა ნესტსა და მტვერში...

ლენტეხს მზრუნველი ხელი სჭირდება

საბოლოო სიტყვა მასპინძლებს ეკუთვნით

„ჩემი აზრით, სპორტის ამა თუ იმ სახეობის საუკეთესო პროპაგანდა პირველ ყოვლისა შეჯიბრებათა ჩატარების ხარისხია. ლენტეხელებმა ამ მხრივ აშკარად აჯობეს ყველას. ბევრ შეჯიბრებას დავსწრებივარ, ბევრ ტურნირში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ არსად მიგრძვნია ისეთი მხარდაჭერა და ყურადღება, როგორიც ლენტეხში“, — წერდა ამ ზაფხულში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. მაზიაშვილი ქართულ ჭიდაობაში ლენტეხში ჩატარებული საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატის შესახებ.

მართლაც, მაშინ მასპინძლებმა საყოველთაო ყურადღება და მოწონება დაიმსახურეს. მეორე საპრიზო ადგილი თბილისის მოჭიდავეთა შემდეგ მათთვის ალალი იყო. ლენტეხელებმა ბევრჯერ დაამტკიცეს, რომ ჭიდაობის დიდი ტრფიალნი არიან.

მართალი გითხრათ, გფიქრობდით, რომ ლენტეხელ მოჭიდავეებს წვრთნის პირობებიც კარგი ექნებოდათ, რახან ასეთ წარმატებებს აღწევენ. სინამდვილეში ასე არ აღმოჩნდა. საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების უფროსის გ. ჯანელიძის ნაამბობმა, პირიქით, გული გვატკინა. გ. ჯანელიძე საქართველოს სპორტკომიტეტის მიერ ამას წინათ რესპუბლიკის მთიანი რაიონების ფიზკულტურული კოლექტივებისთვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით გამოყოფილ ერთ-ერთ ბრიგადას ხელმძღვანელობდა ლენტეხში.

ახლა მოდით, თვითონ ხელმძღვანელს მოვუსმინოთ. იგი გვიამბობს იმაზე, თუ რა მდგომარეობა დახვდათ ლენტეხში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის, სპორტული ბაზებისა და კადრების მხრივ. გვეტყვის იმასაც, თუ რაში გამოიხატებოდა ბრიგადის დახმარება.

— სანამ ლენტეხის შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, ჯერ ჩვენი ბრიგადის წევრებს გაგაცნობთ. ესენი არიან მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი როსტომ აბაშიძე და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი ალექსანდრე კაპანაძე.

მოგეხსენებათ, მოსწავლე-ახალგაზრდობა ჩვენი ხვალინდელი დღეა. ამ ახალგაზრდებმა უნდა დაიცვან საქართველოს ღირსება საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. ამიტომ პირველ ყოვლისა სწორედ სკოლებზე უნდა ვილაპარაკოთ.

ლენტეხში ერთი საშუალო სკოლაა. ამ სკოლას სპორტული დარბაზი აქვს, თუკი შეიძლება დარბაზი ეწოდოს ოთახს, რომლის ფართობიც დაახლოებით 10X16 მეტრია. ოთახში იატაკი აურილია, ცალ მხარეს კი ცენტრალური გათბობის მილები გადის. აქ შეუძლებელია ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარება და არც ტარდება. სკოლას კალათბურთისა და ფრენბურთის ღია მოედნებიც აქვს, მაგრამ რა გამოვიდა — სპორტულ სარბიელზე სარეველა ბალახი და ქვა-ღორღი ისეა ერთმანეთში არეული, რომ ალბათ ტრაქტორსაც გაუჭირდება გავლა, კალათბურთის ფარები სადაცაა წაიქცევა. სპორტული ინვენტარი — დვირი, ორძელი, ლეიბები და სხვა, სარდაფში ნესტსა და მტვერში ფუჭდება. სკოლის დირექტორს პირენ ხვისტანს ფიზკულტურა და სპორტი რომ არ აინტერესებს, ეს მასთან საუბარმაც დაადასტურა.

ამ სკოლის ფიზალზრდის მასწავლებელი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი ავთანდილ გუგავა გახლავთ.

— სასწავლო წელი ახალი დაწყებულია. ამიტომ სპორტული მიედნებისა და დარბაზის მომზადება ვერ მოვასწარით, — იმართლა თავი გუგავამ.

საკითხავია, რატომ მოხდა ეს? სკოლა ხომ ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვედროდა ახალ სასწავლო წელს.

ახლა სკოლა-ინტერნატს ვეწვიოთ. აქ 400-მდე ბავშვი სწავლობს, მაგრამ ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობისთვის არავითარი პირობები არ არსებობს. ფიზალზრდის მასწავლებელი ნუგზარ ონიანი, რომელსაც ფიზკულტურის ინსტიტუტის დიპლომი უდევს ჯიბეში, უარს ამბობს სპორტდარბაზში გაკვეთილების ჩატარებაზე.

— სპორტდარბაზი ნახევრად სარდაფში გვაქვს მოწყობილი და უკვე ავარიულ მდგომარეობაშია. მე უკვე დმაავადმყოფა იმ ნესტმა, — ეს სიტყვები ონიანს ეკუთვნის.

სპორტსკოლა. აქ ცხრა მწვრთნელი მუშაობს. ისინი ამეცადინებენ მძლეოსანთა რვა, თავისუფალ სტილის მოჭიდავეთა ოთხ, ქართული ჭიდაობის ორ და მოთხილამურეთა ამდენივე ჯგუფს. მაგრამ სად ამეცადინებენ? მათ ხომ არავითარი ბაზები არა აქვთ და არც იჭარით იღებენ. იჭარით დიდი სიამოვნებით აიღებდნენ, მაგრამ ვისგან? სხვებიც რომ ამ დღეში არიან? „კოლმეურნისა“ და „სპარტაკსაც“ ხომ იგივე გასაჭირი დასდგომიათ!

ცუდად არის სპორტული ინვენტარით მომარაგების საქმე. ლენტეხში ნაკლებად სჭირდებათ საფარიკაო იარაღები, ველოსიპედისტთა ქუდები, ციგურები... განა უმჯობესი არ იქნება, რომ მაღაზიაში თხილამურის სამაგრები, წამმზომები, საჭიდაო ფორმები და სხვა ასეთი ინვენტარი შეზიდონ?

ჩვენი რჩევის შემდეგ ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს სპორტდარბაზი აეგოთ და არსებული მოედნებისთვის შეევლოთ.

ლენტეხელ ფიზკულტურელებს დახმარება სჭირდებათ. ისინი გვთხოვენ სპორტდარბაზისთვის სამშენებლო მასალას, მეთოდურ სახელმძღვანელოებს, ცნობილ სპორტის სპეციალისტთა ლექციებს...

რაც შეეხება ჩვენს მიერ უკვე გაწეულ დახმარებას, იგი იმაში გამოიხატება, რომ მასპინძლებს საქართველოს სპორტკომიტეტის მიერ გამოყოფილი მეთოდური სახელმძღვანელოები, სპორტული ფორმები და ფეხბურთის ბურთები გადავეცით. საჩუქრად. ადგილობრივ მწვრთნელებსაც გავუწიეთ კონსულტაცია...

ლენტეხში არის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რასაც იქაური მოჭიდავეთა შედეგებიც მოწმობს. ეს ახალგაზრდობა იმსახურებს მზრუნველობას და ყურადღებას, მაგრამ რაოდენ სასარგებლოც უნდა იყოს ჩვენი დახმარება, საბოლოო სიტყვა მაინც მასპინძლებს ეკუთვნით.

ბ. ბურასაშვილი.

ასპეტი ჭადრაკი-74

● *მოსკოვი, 3 ნოემბერი.* „კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში სსრ კავშირის ბადმინტონისტები დღეს განმეორებითს ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ პაკისტანის გუნდს და ისევე როგორც წინადღით, გაიმარჯვეს — 5:4. უძლიერესი საბჭოთა ბადმინტონისტები ახლა საპასუხო ვიზიტით არიან მალაიზიაში, ამიტომ სტუმართა წინააღმდეგ მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკისა და დნეპროპეტროვსკის საკლუბო გუნდების წარმომადგენლები გამოვიდნენ. მათ შორის „პირველი ვიოლინო“ უდავოდ მინსკელი ანატოლი სკრიპკო იყო. მან ჯერ პაკისტანის ჩემპიონს ჯავად იკბალს სძლია (15:10, 15:13), მერე კი ლენინგრადელ ლიუდმილა მარკოვასთან წყვილში იკბალი და ტალატ სულთანი დაამარცხა — 15:10, 15:7. მხოლოდ მწვრთნელ ვლადიმერ ლიფშიცთან ერთად დათმო სკრიპკომ ბრძოლა ჰასან შახტისა და იკბალის დუეტთან — 9:15, 12:15. პაკისტანელი სპორტსმენები მახარყალაში გაემგზავრნენ.

● **პერვოურალსკი,** *3 ნოემბერი.* საკავშირო ალეკ 50 წლისთავის სახელობის სპორტის სასახლეში დამთავრდა რსფსრ-ს თასის გათამაშება ბურთიან ჰოკეში. გადამწყვეტ მატჩში ქვეყნის ჩემპიონმა — სვერდლოვსკის არმიის სპორტკლუბის გუნდმა ანგარიშით 9:3 სძლია ადგილობრივ „ურალსკი ტრუბნიკს“.

სურათებზე: თამაშის ამსახველი მომენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ვემზადოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

დროს თუ მაქსიმალურად გამოვიყენებთ

სასტენდო სროლაში საქართველოს საკმაოდ მდიდარი ტრადიციები აქვს. დღევანდელ წერილში წარმატებათა ჩამოთვლას არ დავიწყებთ — სპორტის ამ სახეობის მოყვარულებისთვის ჩვენი სპორტსმენების ძიდწევები ისედაც ცნობილია. ვიტყვით მხოლოდ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მორიგი სპარტაკიადისთვის მზადებამ კიდევ უფრო ფართო პერსპექტივები გადაგვიშალა ტრადიციების გახმატკიცებისთვის, რაც ამას წინათ ვარეკთილის სასროლეთზე გამართულმა რესპუბლიკის ტერიტორიულმა პირად-გუნდურმა ჩემპიონატმაც დაადასტურა.

ბოლო წლებში ჩვენი მრგვალ სტენდზე მსროლელები დაწინაურდნენ და საკავშირო ნაკრებში 2 ადგილიც დაიკავეს, მაგრამ ადგილიდან მსროლელებს ამკარად უჭირდათ. ერთადერთი კაცი, რომელიც სტაბილურ შედეგებს აღწევდა, თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ზ. მაჩხანელი იყო. სოხუმელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კ. დარასელია ამ ქალაქში სტენდის დანგრევის შემდეგ რეგულარულად ვეღარ ვარჯიშობს და, რა თქმა უნდა, ეს შედეგებსაც დაეტყო. თბილისელმა სპორტის ოსტატმა ვ. ალავერდოვმა თავის საუკეთესო სპორტულ ფორმას ჯერ ვერ მიადწია.

ერთი სიტყვით, ბევრი რამ მოსაგვარებელი იყო. და აი, რესპუბლიკის ჩემპიონატმა იმედი ჩაგვისახა: თუ ადგილიდან მსროლელები ხალხთა სპარტაკიადამდე დარჩენილ დროს ინტენსიურად ვარჯიშისთვის გამოიყენებენ, სპარტაკიადიდან ხელცარიელი არ უნდა დაბრუნდნენ.

რა გვაძლევს ამის განცხადების უფლებას? თბილისელი სპორტის ოსტატების ი. კონდრატიევის, თ. ნუკრაძის, სპორტის ოსტატობის კანდიდატ ვ. ამირხანოვისა და ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენის, ქუთაისელი პირველთანრიგოსნის ლ. მიზანდარის სტაბილური მაჩვენებლები (მაჩხანელზე, დარასელიაზე და ალავერდოვზე არაა ვიბობთ, ვინაიდან მაჩხანელი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა, დარასელია და ალავერდოვი კი საპატიო მიზეზით ცეცხლის ხაზზე არ გამოსულან).

შეჯიბრება სამ დღის გრძელდებოდა. ორ დღეს სპორტსმენებს 50-50 სამიზნე ეძლეოდათ, ფინალში კი კიდევ 100-100 მიიღეს. მაჩხანელი თავიდანვე დაწინაურდა: 50-დან მხოლოდ ერთ სამიზნეს ააცდინა. თბილისის მილიციის სამმართველოს ავტოსატრანსპორტო შემთხვევების გამოძიებელი, სპორტის ოსტატი თ. ნუკრაძე, რომელიც ცეცხლის ხაზზე პირდაპირ მორიგეობიდან მივიდა, ლიდერს 2 ქულით ჩამორჩა, ხოლო მიზანდარი — სამით.

კონდრატიევს ბედმა განსაკუთრებით მეორე სვრიაში უმტყუნა: 25-დან 19 ქულა დაუგროვდა.

მეორე დღეს, როცა სპორტსმენებმა კიდევ 50-50 სამიზნეს ესროლეს, მაჩხანელს 100-დან 98 ქულა აღმოაჩნდა, ნუკრაძესა და მიზანდარს — 93-93. ამირხანოვმა 90 ქულა ძოაგროვა, კონდრატიევმა — 88.

ამირხანოვსა და კონდრატიევს საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის შანსი თითქოს ალარ უნდა ქქონოდათ, მაგრამ სწორედ ფინალში გამოირჩინეს თავი: 100-დან 96-96 ქულა მოაგროვეს, სპორტის ოსტატის ნორმატივს გადააჭარბეს და ჯამში II და III ადგილები დაიკავეს. ამირხანოვს სულ 186 ქულა დაუგროვდა, ხოლო კონდრატიევს — 184.

რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა ვეტერანი მაჩხანელი — 195 ქულა.

ფინალში ნუკრაძემაც და მიზანდარმაც სტაბილურად ისროლეს. თუ ადგილებზე მსროლელთა ეს ოთკეული ხალხთა სპარტაკიადამდე შედეგებს ცოტა უმატებს და სტაბილურობასაც უფრო განამტკიცებს, საფიქრალი აღარაფერი იქნება.

რაც შეეხება მრგვალ სტენდს, სხვა დროსაც ბევრჯერ გვითქვამს, რომ ამ სახეობაში საგანგაშო არაფერია. პირველი, საქართველოს გუნდში სამი მაღალი კლასის სპორტის ოსტატია. გარდა ამისა, კოლექტივს საიმედო რეზერვი ჰყავს გ. შენგელიას და ა. სეროვის სახით და ამიტომ ხალხთა სპარტაკიადის როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილებზე გასვლის დიდი შანსი გვაქვს.

მაგრამ ამჯერად ლიდერებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. განსაკუთრებით თბილისელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ტ. ჟღენტმა გაგვაკვირვა. ორ დღეს, რიგა სპორტსმენთა შედეგები გუნდურ ჩათვლაშიც შედიოდა, იგი სარბიელს არ მოშორებია და 100-დან 98 ქულის მოკროვება შეძლო — მხოლოდ თანაგუნდელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თ. მატიანმა აჯობა ქულით. მაგრამ მესამე დღეს, როცა ბირადი ასპარეზობის ფინალი დაიწყო, ჟღენტს პირველივე სერიაში ორი სამიზნე უვნებლად გაუფრინდა, მატიანთან მან კიდევ ქულა წაგო, რის შემდეგაც ბრძოლა თვითნებურად ძიალოვა. მაოფლიო ჩემპიონისა და რეკორდმენის ამ საქციელმა სხვა სპორტსმენთა შედეგებზე საოცრად იმოქმედა: დარჩენილ სერიებში მატიანმაც კი 75-დან 6 ქულა დაკარგა. განსაკუთრებით თ. იმნაიშვილმა გააფუჭა მედგები: უვნებლად 12 სამიზნე გაექცა და საბოლოოდ საპრიზო ადგილზე ვერ გავიდა.

ბევრს არც დაუმალავთ: ტარიელის წასვლამ ინტერესი გაახვლა, ხალისი გაქრა, ველარ ვისვრითო. მაგრ სიტყვები მსაჯებმა და სხვა სპეციალისტებმაც დაადასტურეს. გამოჩენილმა მწვრთნელმა ა. ჩერეკოვმა, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის საქართველოს გუნდის დასახმარებლადაა მოწვეული, განაცხადა:

— მართალია, ჟღენტი მაოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დაღლილი ჩანს და ნერვულობს კიდეც, მაგრამ მისი დღევანდელი საქციელის გამართლება მაინც არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ ამ დაუდევრობას იმნაიშვილისა და მატიანის ჩამორჩენაც მოჰყვა. ეს ხამი სპორტსმენი კი გუნდის მთავარი ბალაა. ეგვი არ მეპარება, რომ ხალხთა სპარტაკიადისთვის ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ კაცს, რომლისგანაც ასალგაზრდები მაგალითს იღებენ, უმაზესოდ შეჯიბრების დატოვება არ ეპატიება.

საბოლოოდ პირად ჩათვლაში საქართველოს ჩემპიონი გახდა საუარესოო გაერთიანება „სიხარულის“ ინჟინერ-ტექნოლოგი თ. მატიანი — 192 ქულა. II ადგილი დიკაგა გ. შენგელიამ — 187, III — ა. სეროვმა — 185.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილის გარეშე არც ერთი კოლექტივი არ დარჩენილა, ვინაიდან ბრძოლაში ... — გუნდი სამი თბილისის, აჭარისა და ქუთაისისა. იმის გამო, რომ აფხაზეთის მონაკვეთრმა საშველი ვერ დაუყენა სტენდის აგებას, ამ ავტონომიური რესპუბლიკის სპორტსმენები, რომლებიც ერთ დროს თბილისელებსაც არ უდგებდნენ ტოლს, ვერსად ვარჯიშობენ და, ცხადია, ახლა მათს საასპარეზოდ ჩამოსვლასაც არავითარი აზრი არ ქქონდა.

მაგრამ რას იტყვიან მასპარაძელები? ან რით გაიმართლებენ თავს, წალენჯიხისა და ზუგდიდის ფიზკულტურის კომიტეტები, რომლებმაც რესპუბლიკურ ჩემპიონატში საასპარეზოდ გუნდები არ გამოგზავნეს? გაეა ასე იმზადებიან სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის? მასპარაძეში უკვე საკმაო დროა, რაც კეთილმოწყობილი სტენდი მწყობრში ჩადგა, შედეგები კი არა და არ ჩანს.

გუნდურ ტურნირში კოლექტივებს ცალკეულ ვარჯიშებში 4-4 ვაჟისა და თითო ქალის გამოყვანის უფლება ქქონდათ. მაგრამ ქალები ჩათვლას მხოლოდ კომპლექსის ჯამში იძლეოდნენ. ადგილიდან სროლაში ჩემპიონი გახდა თბილისის კვარტეტი (ზ. მაჩხანელი — 98 ქულა, ვ. ამირხანოვი — 90, ი. კონდრატიევი — 88, ნ. დიდმელაშვილი — 67) — 343 ქულა. II ადგილზეა აჭარის გუნდი — 312, III — ქუთაისის კოლექტივი — 306.

მრგვალ სტენდზეც თბილისელებმა (თ. მატიანი — 99, ტ. ჟღენტი — 98, თ. იმნაიშვილი — 95, გ. შენგელია — 93) გაიმარჯვეს — 385 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აჭარისა (273) და ქუთაისის (238) კოლექტივები.

კომპლექსში თბილისელებს 877 ქულა დაუგროვდათ (საერთო ჯამს დაეტყა ადგილიდან სროლაში ემილია ფელიქიშვილის შედეგი — 80 ქულა და მრგვალ სტენდზე შეჯიბრებაში რუსუდან მაჩხანელი ზ. მაჩვენებელი — 69 ქულა). აჭარის სპორტსმენებმა, რომლებსაც გუნდში მხოლოდ ერთი ქალი ჰყავდათ, 621 ქულა დააგროვეს. ქუთაისელებმა მეზტენდურე ქალის გამოყვანა ვერ შეძლეს და 544 ქულით აქაც III ადგილს დასჯერდნენ. ფაქტია, რომ სასტენდო სროლამ კარგი ტრადიციები ქუთაისშიც დაკარგა.

ნ. ძიმისტარიშვილი.

უხეიროდ ჩაფარებული ასპარეზობა ცუდ სამსახურს უნევს ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდას

შეჯიბრება მთავარი მსაჯის გარეშე

ანუ უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ

ასეთი რამ ალბათ საერთოდ არასდროს და არსად მომხდარა. პრიორიტეტი მშვილდოსნობაში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ოთარ ჭიქიანაძეს ეკუთვნის. მისი „გამოგონება“ საქართველოში ალბათ პირველი და უკანასკნელი იქნება, რომლის გაუგიჟებესობასაც ვეღარავინ შეძლებს არა მარტო მშვილდოსნობაში, არამედ, საერთოდ, სპორტის სხვა, რომელიც გნებავთ სახეობაში.

„გამოგონება“ მით უფრო გვაოცებს, რომ მის ავტორს არც მოუსვენარი დღეები და უძილო ღამეები გადაუტანია, არც ჯადოსნურ სარკეში ჩაუხედავს, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე. არა, მან „აღმოჩენა“ ყველასთვის (და თავისთვისაც) მოულოდნელად მოახდინა.

მშვილდოსნობაში თბილისის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დედაქალაქის VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრების მთავარი მსაჯი ი. ჭიქანაძე თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ ოთხდღიან ასპარეზობას ანლისაც არ გაჰკარებია.

„საინტერესოა, შეჯიბრება მაინც ჩატარდება თუ არა. მე მგონი, სპორტსმენებს ისიც ეყოფათ, ჩემი გვარი ქალაქში გამოერულ აფიშებზე რომ წერია. ეგეი არ მეპარება, ტურნირი უჩვეულოდაც მაღალ დონეზე ჩაივლის და ამ ჩემს თაოსნობას შემდეგში სხვებიც გადაიღებენ“, — ალბათ ასე ფიქრობდა ჭიქანაძე. ეს ხდებოდა მაშინ, როცა გუნდების წარმომადგენლები, მწვრთნელები, სპორტსმენები და ის ორიოდე მსაჯი, რომლებმაც შეჯიბრების შესახებ აფიშებიდან შეიტყვეს და სტადიონზე გამოცხადდნენ, მთავარი მსაჯის გამოჩენას ამაოდ ელოდნენ.

კაცი, რომელსაც დედაქალაქის მსაჯების ხელმძღვანელობა მიანდვეს, რომელიც ვალდებულია შესაბამის სახეობაში ყველა ასპარეზობა კვალიფიციური არბიტრებით უზრუნველყოს და მათს საქმიანობას კონტროლი გაუწიოს, ადამიანი, როელსაც ესოდენ საპასუხისმგებლო შეჯიბრების მთავარი მსაჯობა დაავალეს, მოულოდნელად გაქრა და თბილისის ფიზკულტურის კომიტეტს არაფერი აცნობა.

იქნებ ჭიქანაძემ არ იცოდა, რომ ამ ღონისძიების მთავარ მსაჯად იყო დანიშნული? როგორც ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტში გვითხრეს, იცოდა. იგი კარგად იცნობდა კომიტეტის 14 ოქტომბრის № 288 ბრძანებასაც, რომელშიც სწორედ მთავარ მსაჯად მისი დანიშვნის შესახებ არის ლაპარაკი.

არ ვიცით, დაწმაგვე თავს რითი იმართლებს, მაგრამ არა გვგონია, რომ მისი გამოგონება: „შეჯიბრების მთავარი მსაჯის გარეშე ჩატარების შესახებ“ განსაკუთრებულ ყურადღებას არ იმსახურებდეს. ქალაქის ფიზკულტურის კომიტეტმა ამ საქციელზე უნდა ისაჯოს და ჭიქანაძეს თაოსნობა სათანადოდ „დაუფასოს“, სხვებს საქალაქო შეჯიბრების ასე ბრუნად აგდების ყოველგვარი სურვილი რომ გაუქრეს.

ჩვენ არ ვიცით, ო. ჭიქანაძეს რესპუბლიკური კატეგორია რა დამსახურებისთვის მიანიჭეს, ან მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ როგორ აირჩიეს, მაგრამ მისი ზემოაღნიშნული საქციელიდან ძალიუნებურად შემდეგი დასკვნა გამოგვაქვს: რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრის წოდება ხელთ რაღაც იოლი გზით ჩაიგდო და ამიტომ ამ სპატიო სახელს არ უფრთხილდება.

ქალაქის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამ საქციელზე იქნებ არაფერი გვითქვა, ასპარეზობას სხვა არბიტრები მაინც რომ ჰყოლოდა საკმარისად. 15 მსაჯის მაგიერ (ეს მინიმუმი უნდა იყოს) შეჯიბრებას პირველ დღეს სამი კაცი ემსახურებოდა, დანარჩენ დღეებში — შვიდი. იმის გამო, რომ ასპარეზობას კვალიფიციური არბიტრები აკლდა, ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტს, დინამოელ თ. ტერუნაშვილს, რომელმაც 8-1 ვარჯიშში 1091 ქულა მოაგროვა და სპორტის ოსტატობის ნორმატივი შეასრულა, ეს წოდება არ მიენიჭება (მან ამ ნორმატივის შედეგი 8-2 ვარჯიშშიც მოიპოვა).

სპარტაკელმა ვ. ტროპინმა 50 და 30 მეტრზე სროლაში საქართველოს რეკორდებზე უკეთესი შედეგები (319 და 339 ქულა) აჩვენა, მაგრამ მისი მაჩვენებლები ამავე მიზეზით რეკორდად არ დაფიქსიდება.

მთავარი მსაჯის არყოფნამ ასპარეზობის დისციპლინაც დასცა: სპორტსმენები სარბიელზე უწესოდ იქცეოდნენ, თამბაქოს აწეოდნენ, ხმაურობდნენ, გორდეზიანმა და გეორგელიძემ ჩუმიც წამოიწყეს, რომელშიც მაყურებელი, ვინმე ასათიანიც ჩაერია და საქმე მუშტიკრივამდე მივიდა.

ნათქვამია, უპატრონო ეკლესიას უშმაკები დაუპატრონონ. ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ამ შეჯიბრებისთვის. ასპარეზობაზე შექმნილი ვითარების გამო თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის ინსტრუქტორი ნ. მალეცკი (იგი ამ ტურნირში ფიგაროს როლს ასრულებდა) იძულებული გახდა ზოგიერთი მოვალეობა, მათ შორის შედეგების აღრიცხვაც, მონაწილეებისთვის მიენდო. ამან კი ის გამოიწვია, რომ ყველა გარათი კეთილსინდისიერად როდი აღმოჩნდა შესრულული.

ვფიქრობთ, ისიც ჭიქანაძის დაუდეგრობისა და შეჯიბრების ცუდი ორგანიზაციის ბრალია, რომ ასპარეზობა ეკვსმა კაცმა მიატოვა. მათ შორის საქართველოს ჩემპიონი, დინამოელი სპორტის ოსტატი ა. შეყვეყიძეც იყო, რომელმაც მხოლოდ 90 მეტრზე სროლაში მიიღო მონაწილეობა. სპორტის ოსტატი ნ. ჩაჩანიძე („ბურევესტნიკი“) კი მხოლოდ პირველ დღეს გამოვიდა სარბიელზე.

შეჯიბრებას სხვა ხარვეზებიც ქქონდა, რასაც ჭიქანაძეს ვერ დაუბრალებთ. თითოეულ სპორტსაბოგადოებას თუ უწყებას შეეძლო სარბიელზე 24 მშვილდოსანი გამოეყვანა. ეს ვადაწყვეტილება შეჯიბრების მაორგანიზებელმა, ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენისა და საქართველოს სპარტაკიადისთვის ქალაქის ნაკრების დაკომპლექტების სურვილით იყო ნაკარნახევი. სინამდვილეში კი ტურნირი ვერც ფასობრივობით დაიკმაყოფილა, ვერც ხარისხით. განაცხადებს თუ დაუჯერებთ, „ბურევესტნიკს“ 16 მონაწილე გამოეყვანა, „ლოკომოტივს“ — 12, „სპარტაკს“ — 7, „დინამოს“ — 4, „ვანთიადს“ — 2. ამ 41 სპორტსმენიდან 15 ქალი უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში სტარტზე 21 ვაჟი და 9 ქალი გამოვიდა, ფინიშამდე კი მხოლოდ 24 სპორტსმენმა მიაღწია.

რატომ აარიდეს სპარტაკიადას თავი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ც. სუმბაძემ, სპორტის ოსტატმა ზ. გეგორკიანმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ლ. კუპრაშვილმა (სამივე — „ლოკომოტივი“), დინამოელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ლ. ჯანიაშვილმა და სხვებმა? გასაკვირვებელი სუმბაძისა და კუპრაშვილის მოქმედება გვაკვირვებს, ვინაიდან სწორედ ისინი ერთი თვის წინათ რიიდნენ, შეჯიბრებაში მონაწილეობის საშუალებას არ გვაძლევენო, ახლა კი აღმოსრდელი საზოგადოების ინტერესები არად რაადეს.

როგორ მოხდა, რომ „დინამომ“, რომელიც ამ სახეობის განვითარებისთვის საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს, გუნდში 24-ის მაგიერ 4 სპორტსმენი მეიყვანა? თუ მშვილდოსნები ჰყავთ, სარბიელზე რატომ არ გამოიყვანეს, თუ არა ჰყავთ, ცენტრალური საბჭოს პირველობაში როგორღა მონაწილეობდნენ? ან „ვანთიადში“ რატომ არაფერი კეთდება ამ სახეობის განვითარებისთვის?

ამდენი ნაკლი ერთი შეჯიბრებისთვის ძალიან ბევრია და მხოლოდ ასპარეზობის უზეირო ორგანიზაციაზე მეტყველებს. პასუხს ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტისგან ველით.

რაც შეეხება ტექნიკურ მაჩვენებლებს, პრიზიორებს საკმაოდ მაღალი შედეგები ქქონდათ. მაგალითად, ქალებში გამარჯვებულმა, საბჭოთა კავშირის ხალხთა წინა სპარტაკიადის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ლ. ასატუროვა-ხორდიამ („ბურევესტნიკი“) 8-2 ვარჯიშში 2367 ქულა მოაგროვა. იგი ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის შესამური გულმოდგინებით ემზადება, ინტენსიურად ვარჯიშობს, არც ერთი მასშტაბის ასპარეზობას არ ტოვებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონ ქ. ლოსაბერიძესთან ერთად საგაისოდ კარგ დუეტს შექმნის.

მომდევნო საპრიზო ადგილებზეც სორდიას თანაგუნდელები ვ. გოლუბოვა (2063) და ს. სინცოვა (2059) გავიდნენ.

ვაკეში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ვ. ტროპინი („სპარტაკი“) — 2367 ქულა, თ. ტერუნაშვილი („დინამო“) — 2156, ვ. ლეკვეიშვილი („სპარტაკი“) — 2123.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათზე: ლ. სორდია.
ოტარის ფოტო.

მხოლოდ ქულა

ფეხბურთი

დღვანდელი დღიური

2 და 3 ნოემბერს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

„სპარტაკი" — „ჩერნომორეცი" 3:0. მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი ამ ორი გუნდისთვის. სპარტაკელებმა დიდი მონდომებით, აქტიურად ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდეც. ანდრეევისა და გლადილინის ორ გოლს 59-ე წუთზე ბულგაკოვმა მესამეც მიუმატა.

„დინამო" (მოსკოვი) — „შახტიორი" 3:0. ორი ბურთი გაიტანა პავლენკომ, ერთიც კურენნინმა.

გაფრთხილება მიიღო დონეცკელმა კონკოვმა, რომელიც მანამდე წესრიგის დარღვევისთვის დისკვალიფიცირებული იყო რამდენიმე თამაშით.

„არარატი" — „დნეპრი" 1:1. ანგარიში გახსნა ერევნელმა დაზარიანმა, საპასუხო ბურთი კი ხრისტიანმა გიტანა.

„დინამო" (კიევი) — „ნისტრუ" 4:2. მატჩი გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერსა და ასეთივე „რანგის" აუტსაიდერს შორის საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. კიეველთა მხრივ ბურთები გიტანეს ბურიაკმა, კოლოტოვმა (2) და ბლოხინმა, ხოლო დამარცხებულთაგან — ფურავლიოვმა და ფილიმონოვმა.

ამ მატჩის შემდეგ ბოლო ადგილის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა: იგი „ნისტრუს" ეკუთვნის. რაც შეეხება კიევის „დინამოს", მას დარჩენილ ხამტურში ქულაც ჰყოფნის ოქროს მედლების მოსაპოვებლად.

„ტორპედო" — „ბაირამალი" 3:1. სტუმრებმა კარგად დაიწყეს თამაში და დაწინაურდნენ კიდეც (იონკინი), მაგრამ 41-ე წუთზე მათს კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც გამოიკენა ნაკონოვმა, შემდეგ კი მაქსიმენკოვმა და დეგტიარიოვმა კიდევ 2 ბურთი გიტანეს.

„ზენიტი" — „ზარია" 2:0. 7 ტურია, რაც ლენინგრადელებმა არ იციან რა არის გამარჯვება, დნეპროპეტროვსკელებთან შეხვედრაში კი „ზენიტის" თავდამსხმელმა სტრელეტოვმა 2 გოლი გაიტანა და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

ცსკა — „შახთიორი" 1:1. ფიოდოროვის მიერ გატანილი გოლის შემდეგ სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ კოპეიკინმა მეორე ტაიმში ცსკა წაგებას გადაარჩინა.

* * *

18 გოლით ჩემპიონატის ხაუკეთესო სნაიპერთა სიას მეთაურობს კიეველი ო. ბლოხინი.





გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." (კ.)	27	14	11	2	45—17	39
„სპარტაკი"	27	12	9	6	32—22	33
„ჩერნომ."	27	11	10	6	33—28	32
„ტორპედო"	27	12	7	8	33—24	31
„დინ." (მ.)	27	10	10	7	40—26	30
„არარატი"	27	9	10	8	32—25	28
„ზენიტ"	27	7	14	6	31—37	28
„შახთიორი"	27	9	9	9	41—38	27
„მაბტიორი"	27	8	11	8	31—31	27
„კარპატი"	27	6	12	9	25—28	24
„დინ." (თბ.)	27	5	14	8	21—31	24
„დნეპრი"	27	7	10	10	25—36	24
ცსკა	27	7	9	11	28—33	23
„ქარიათი"	27	7	9	11	35—42	23
„ზარია"	27	7	9	11	27—38	23
„ნისტრუ"	27	4	8	15	29—52	16

თბილისი, „ლოკომოტივის" სტადიონი. 8 ნოემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „კარპატი" (ლვოვი) 0:0.

„დინამო": გაგოშიძე, გავაშელი, ჭელიძე, ბურცილავა, ებრალიძე, კანთელაძე, მ. მაჩაიძე (გ. ნოდია), ახალთინი, გუცაევი, მჭედლიშვილი (რეხვიაშვილი), ეხებაია.

„კარპატი": რაკიტსკი, გერეგი, პოტორნიაკი, ჩორბა, ანდრიუშჩენკო, ბროვარსკი, ლიხაჩოვი, საკა, დანილიუკი, კოკოტი, კოშინკევიჩი.

მსაჯი ა. ლუშინი (მოსკოვი).

გაფრთხილებული არიან კანთელაძე და საკა.

ის ერთობ მარყუჟი სატურნირო მდგომარეობა, რომელშიც 27-ე ტურისთვის იყვნენ თბილისის დინამოელები, კარგადაა ცნობილი ფეხბურთის მოყვარულთათვის. 23 ქულა — გათამაშების ცხრილში X-XIV ადგილებზე მყოფი 5 გუნდის საბალანსო აქტივი, არც ერთ მათგანს არ აძლევდა უმაღლეს ლიგაში დარჩენის რამდენადმე მაინც საიმედო შანსს. მეტიც: „ფახთაქორს" და „ზენიტს" 3 ნოემბრისთვის 26-26 ქულა ჰქონდათ და არც ეს იყო საბოლოოდ დადგენილი „გამვლელი ბალი" საპასუხისმგებლო მიზნის შესასრულებლად. ყველაფერი წყდება ბოლო ტურებში, ფინიშზე.

და აი, სწორედ ამ ფინიშზე მეორჩათ თბილისის დინამოელებს მეტოქეებად კალენდარში ისინი, ვინც ლიგაში დარჩენის ანალოგიური ამოცანის წინაშე დგას. ერთ-ერთი მათგანია ლვოვის „კარპატი" — ჩვენი გუნდის უშუალო კონკურენტი, იმავე რაოდენობის ქულების მქონე, ოღონდ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით. უფრო მეტი მნიშვნელობის, პრინციპული მატჩის წარმოდგენა ამ ჯტალეს ძნელიცაა. ლვოველები არ დათმობდნენ არაფერს. მათს მიზანს, უდავოდ, ქულის აღება წარმოადგენდა, დინამოელებს კი თავიანთს მინდორზე აუცილებლად უნდა ებრძოლათ გამარჯვებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარი კეღლების ფაქტორი კარგავდა იმ უპირატესობას, რომელიც გუნდს აქვს კალენდრის მიხედვით.

მატჩის დასაწყისი, პირველი 10-15 წუთი, მართლაც სათლად მეტყველებდა იმაზე, რომ თბილისელები გამარჯვების მტკიცე რწმენით ვამოვიდნენ მინდორზე. გუნდმა მაღალი ტემპი აიღო, გაძლიერებული ძალებით შეუტია და სტუმრებს თითქმის მთელი შემადგენლობით მოუხდათ უკან დახევა. გუცაევი, მაჩაიძე, ესებუა განუწყვეტლივ მანევრირებდნენ. მათ აქტიური მხარდაჭერა ჰქონდათ გავაშელისა და ახალთინის მხრივ, შეტევაში ხშირად მონაწილეობდნენ ჭელიძე, ბურცილავა, ებრალიძე, კანთელაძე. მართალია, ამ პერიოდში გოლი არ გასულა, მაგრამ სტუმრებს ძალიან უჭირდათ სახიფათო მომენტების გაჭარწყლება და მწვავე სიტუაციები მათს კართან ზედიზედ ცვლიდა ერთმანეთს.

ერთი სიტყვით, ყველაფერი წესრიგში იყო. თამაში მიმდინარეობდა „კარპატის" ნახევარზე, დინამოელები გამარჯვებისთვის იბრძოდნენ. მაგრამ საკმარისი გახდა რამდენიმეჯერ მურთის დაკარგვა შეტევისას, ტემპის შენელება, ზედმეტი ტარება და ბრძოლის სურათი ერთიანად შეიცვალა. ლვოველებმა სული მოთქვეს, პერსონალურად აიყვანეს მოწინააღმდეგეები, მოაწესრიგეს ურთიერთმოქმედება მინდვრის შუაგულში, რის შემდეგაც ძალები გათანაბრდა. „დინამომ" დაკარგა უპირატესობა, რომელიც შემდგომში ვერა და ვერ დაიბრუნა, ზოგიერთ შემთხვევაში კი ამკარა ხიფათის წინაშეც იდგა. თავიანთს შესაძლებლობაზე გაცილებით სუსტად ითამაშეს მაჩაიძემ, მჭედლიშვილმა. უკეთ არც სხვები გამოიყურებოდნენ, მაშინ, როცა „კარპატის" თითოეული წევრი მთელ თავის შესაძლებლობას აქტივდა ბრძოლას.

ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა კანთელაძის უხეშობამ. პირველ 5 წუთშიც კი, როცა მისი გუნდი განუწყვეტლივ უტევდა, კანთელაძე მეტოქის ნახევარზე ზედიზედ სამჯერ დაჯარიმდა, რაც სრულიადაც არ იყო გამოწვეული რაიმე აუცილებლობით. იგი შემდგომშიც არღვევდა წესს, რისთვისაც ჯერ შემჩნევა მიიღო მაჯისგან, მერე კი — გაფრთხილება. კანთელაძის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა სხვებისთვისაც, დაურიდებლად უხეშობენ [illegible] ლიძე, ახალთინი, [illegible] ობილისს „[illegible] აქვს ეგრეთ წოდებული „ბიხეური", უხეშობ თამაშია და მან არც უნდა მოიკიდოს ფეხი კოლექტივში.

90 წუთმა განვლო, თბილისელებმა ვერ მიაღწიეს წარმატებას, დასჯერდნენ მხოლოდ ქულას და ყველაზე უწინდელი ამოცანის წინაშე დგანან: იზრუნონ უძლიერესთან რიგებში დასარჩენად.

მაინც, განვლილი მატჩის დროს იყო ერთი სასიამოვნო მომენტი: ის, როცა სტადიონის დიქტორმა გამოაცხადა, ვოროშილოვგრადის „ზარიას" ლენინგრადში დამარცხდა ანგარიშით 0.2. საქმე ისე წავიდა, რომ კონკურენტების ყოველი ასეთი მარცხი დიდ შეღავათად — იქცა თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებისთვის.

რ. ძორძიძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: საჯარიმო დარტყმა. ბურთი ოღნავ ასცდა კარს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



ცვლილებები კალენდარში

საკავშირო ჩემპიონატში 27-ე ტურიდან გამოტოვებული ორი მატჩი: ცსკა — „ქარიათი", „ტორპედო" — „ფახთაქორი" შედგება ხვალ, 6 ნოემბერს.



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომ."	38	23	7	8	73—33	53
ასკ	38	21	9	8	64—35	51
„დინამო"	38	21	9	8	60—38	51
„კარ. სოკ."	38	20	8	10	65—41	48
„ნეფტჩი"	38	18	10	10	54—32	46
„ტავრია"	38	18	6	14	74—55	42
„კუზბასი"	37	19	4	14	47—47	42
„ტორპედო"	38	14	10	14	37—42	38
„ფეიზდი"	38	13	11	14	54—59	37
„შინიკი"	38	11	14	13	50—53	36
„პამირი"	37	12	11	14	45—47	35
„სპარტაკი" (ივ. ფრ.)	38	9	16	13	37—39	34
„მეტალურგი" (ზაპ.)	38	11	12	15	42—50	34
„სპარტაკი" (ნალ.)	38	10	14	14	37—47	34
„ყუბანი"	38	12	10	16	54—67	34
„ურალმაში"	38	13	8	17	38—54	34
„სპარტაკი" (ორჯ.)	38	15	4	19	45—67	34
„სტროიტ."	38	11	11	16	50—52	33
„მეტალურგი" (ლიპ.)	38	8	9	21	30—58	25
„ტექსტილ"	38	5	7	26	33—73	17

შენიშვნა: დარჩენილი მატჩი „პამირსა" და „კუზბასს" შორის შედგება დღეს.

ბათუმელებმა გამარჯვებით დაიწყეს

ბათუმი, 2 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აკარის დედაქალაქის „დინამოს" სტადიონზე ხაზეიმო ვითარებაში გაიხსნა მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. ვეტერანმა ფეხბურთელებმა ა. ელიავამ, ბ. ფროლოვმა, ა. კვაჭაძემ და ვ. მკავიამ ნორჩ ფეხბურთელებს ალამი გადასცეს. შემდეგ ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ჯაშმა შეჯიბრების მონაწილეებს გათამაშების გახსნა მიულოცა და წარმატებები უსურვა შრომასა და სპორტში.

კიშინიოველი მსაჯის ს. პონომარიოვის სასტვენის ხმაზე მინდორზე გამოვიდნენ მოსკოვის ახალგაზრდული სკოლისა და მოსკოვის ოლქის „შრომითი რეზერვების" გუნდები. ბურთზე პირველი დარტყმის უფლება მიეცა ცნობილ ტანმოვარჯიშეს, მსოფლიო ჩემპიონს რუსუდან სიხარულიძეს.

„შრომითი რეზერვების" გუნდი ბათუმში სრული შემადგენლობით ვერ ჩამოვიდა ცუდი საფრენი ამინდის გამო და ამიტომ მატჩი 9 მოთამაშის შემადგენლობით ჩაატარა. მიუხედავად ამისა, მან ფედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს და მინიმალური ანგარიშით წაგო — 0:1. ერთადერთი ბურთი ლებედევმა გიტანა 79-ე წუთზე.

ძალიან საინტერესო იყო ბათუმის დინამოელთა შეხვედრა ლენინგრადის „ზენიტთან". მასპინძლებმა კარგად ითამაშეს, თუმცა შეხვედრამდე ვერ შეძლეს მოწინააღმდეგის კარის აღება. 57-ე წუთზე კომბინაციით ს. ჭიკავა — კაპარავა — ბოსუა — დოლიძე ძლიერი, ზუსტი დარტყმით დამთავრდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იმავე დოლიძემ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება — 2:0.

იაროსლავლის „შინიკისა" და ტაშკენტის „ფახთაქორის" მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ანგარიში 39-ე წუთზე გახსნა ტაშკენტელმა ხალნოვმა. შემდგომში „ფახთაქორის" ცენტრალური მცველი იურინი უხეშ თამაშისთვის მინდვრიდან გააძევეს. ამით ისარგებლეს იაროსლავლელებმა და პლატოვმა ანგარიში გათანაბრა — 1:1.

ო. ჭურკანიძე.

ოპალი დინამოელებს ხვდათ



რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სპორტკომპანიის დახურულ საცურაო აუზში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება წყალბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდა ექვსი კოლექტივი. შეხვედრები მაღალ დონეზე ჩატარა თბილისის „დინამომ". აღსანიშნავია, რომ მან ყველა მატჩი დიდი ანგარიშით მოიგო. დინამოელებს გადაეცათ საქართველოს სპორტკომიტეტის გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომები.

მოგვაწოდეს ტექნიკური შედეგები:

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი) 12:3, „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 4:10, „განთიადი" (ბათუმი) — „განთიადი" (ქუთაისი) 5:2, „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „განთიადი" (ბათუმი) 8:5, „დინამო" (სოხუმი) — „განთიადი" (ქუთაისი) 3:9, „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 13:3, „განთიადი" (ქუთაისი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 3:8, „დინამო" (თბილისი) — „განთიადი" (ბათუმი) 12:5, „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი) 3:3, „ლოკომოტივი" (თბილისი) — „განთიადი" (ბათუმი) 5:7, „დინამო" (თბილისი) — „განთიადი" (ქუთაისი) 12:3, „დინამო" (სოხუმი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 3:15, „ლოკომოტივი" (თბილისი) — „განთიადი" (ქუთაისი) 5:3, „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 4:11, „განთიადი" (ბათუმი) — „დინამო" (სოხუმი) 5:1.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „დინამოს" გუნდი (მარცხნიდან) — მწვრთნელი გ. ხუროშვილი, ვ. ბრუთინოვი, ზ. ქოიავა, დ. რურუა, ნ. ერაძე, ო. ოსოელიანი, ვ. ხანაძე, ზ. ხეცურიანი, მ. გულედანი, ვ. ისელიძე.

ა. კოტორაშვილის ტექსტი და ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ნაბიჯი

ამას წინათ „საქსახწყალპროექტის“ ინსტიტუტის თანამშრომლებმა მოვაწყვეთ ალპინიადა ყაზბეგის რაიონში. ჩვენი მიზანი ალპინიზმის პოპულარიზაცია და ნიშნოსან მთამსვლელთა მოძზადება იყო.

ჩვენი თერმეტკაციანი ჯგუფი (აქედან სამი ქალი) ყაზბეგის რაიონში, ხდის ხეობაში დაბანაკდა. აქ ჩვენმა თანამშრომელმა, ოსტატობის კანდიდატმა გ. საჯაიამ სამი დღის განმავლობაში ახალბედებს საჭურვლის ხმარება და მთაში სიარულის წესები ასწავლა. მას არც მეკლდეურობაში ვარჯიში დავიწყებია. შემდეგ საქართველოს ტურისტული საბჭოს საკონტროლო-სამაშველო სამსახურის გამსვლელი სემინარის (ხელმძღვანელი ტ. ლუკაშვილი) მონაწილეებს შეეუერთდით, რომელთაც მყინვარწვერზე ასვლა ჰქონდათ განზრახული 2-ბ კატეგორიის სირთულის გზით. მათთან ერთად დევდორაკის ყინვარის მისადგომებთან, 2000 მეტრ სიმაღლეზე გადავნაცვლეთ.

მეორე დღეს ჩვენი მოიერიშე ჯგუფი, რომელსაც სპორტის ოსტატი გ. წერედიანი ხელმძღვანელობდა, მწვერვალის მისადგომებთან 3500 მეტრ სიმაღლეზე შეჩერდა და ღამეც იქ გაათია. გათენებამდე მთელი ჯგუფი კვლავ იერიშზე გადავიდა.

უსაზღვრო იყო მოლაშქრეთა სიხარული, როცა მწვერვალის უმაღლეს წერტილს — 5043 მეტრს მიაღწიეს.

იმედი გვაქვს, რომ ამ ალპინიადის შემდეგ ბევრი მისი მონაწილე მთაში სიარულს გააგრძელებს.

ს. ლაზაშვილი,
ჯგუფის უფროსი.

* * *

სურათზე: მყინვარწვერიდან დაბრუნების დროს.

ავტორის ფოტო.

• КОРДА • ФУТБОЛ • ФЕХБУРТИ • LABДARUGAS •

ჩემპიონატები, ჯერეჯერობით, ერთეულები

ინგლისი

ეროვნულ ჩემპიონატში ლონდონის კლუბების უხეირო თამაშზე უკვე ვწერდით. ორი მათგანი — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ და „არსენალი“ — XV ტურში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. ბოლო ადგილზე მყოფი „არსენალი“ მასპინძლის როლში გამოდიოდა: მატჩი „ჰაიბერის“ მინდორზე ჩატარდა. მეტოქეებს წარმატების მისაღწევად თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ „არსენალი“ აშკარად სჯობდა მოწინააღმდეგეს და გაიმარჯვა კიდეც — 3:0.

დედაქალაქის სხვა კლუბები ასე გამოვიდნენ: „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ სტუმრად ფრედ (1:1) ითამაშა I ლიგის დებიუტანტ „ლუტონ თაუნთან“; დიდი ბრძოლა გაჩაღდა „სტემფორდ ბრიჯის“ სტადიონზე, სადაც „ჩელსი“ „სტოკ სიტის“ მასპინძლობდა. უაღრესად დაძაბული ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 3:3; კარგად ითამაშა „ქუინზ პარკ რეინჯერსმა“, რომელმაც სტუმრად სძლია „ვულვერჰემპტონ უონდერერსს“ — 2:1.

გათამაშების ლიდერმა „ლივერპულმა“ შინ დაამარცხა „ლიდს იუნაიტედი“ (1:0) და კიდევ უფრო განიმტკიცა მოწინავე პოზიცია. „იფსვიჩ თაუნმა“ და „მანჩესტერ სიტიმ“ ფრედ (1:1) ითამაშეს. „მიდლსბრომ“ სტუმრად აჯობა „დერბი ქაუნთის“ (3:2) და IV ადგილზე გადაინაცვლა.

მეწინავეთა ჯგუფი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლივერპული“	14	10	1	3	22:8	21
„მანჩესტერ სიტი“	15	8	4	3	20:16	20
„იფსვიჩ თაუნი“	15	8	2	5	19:10	18
„მიდლსბრო“	14	7	4	3	22:16	18
„ევერტონი“ (ლივერპული)	15	4	10	1	20:17	18

II ლიგაში კვლავ ლიდერობს „მანჩესტერ იუნაიტედი“. მორიგ ტურში მან ანგარიშით 1:0 სძლია „საუთჰემპტონს“ და უახლოეს მეტოქეს 4 ქულით უსწრებს.

შოტლანდია

გათამაშების IX ტურში ლიდერმა „გლაზგო რეინჯერსმა“ სტუმრად ფრედ (1:1) ითამაშა ბოლო ადგილზე მყოფ „ჰარტ ოვ მიდლოტიენთან“. „აბერდინმა“ თავის მინდორზე მოუგო „ერბროთს“ — 5:1. „დანდი იუნაიტედმა“ „დამბარტონს“ უმასპინძლა. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 3:3.

ამ ტურში არ უთამაშია გლაზგოს „სელტიკს“, რომელსაც ლიგის თასის გათამაშების ფინალური მატჩი ჰქონდა ჩასატარებელი.

ლიდერთა სამეული:

„გლაზგო					
რეინჯერსი“	9	7	2	0	27:9 16
„სელტიკი“	8	7	0	1	26:9 14
„აბერდინი“	9	7	0	2	22:9 14

საფრანგეთი

ჩემპიონატის მორიგ, XIV ტურში „სენტ-ეტიენმა“ სტუმრად ანგარიშით 1:3 წააგო შეხვედრა XI ადგილზე მყოფ „რენესთან“ და ლიდერობა დათმო. ერთპიროვნული ლიდერი გახდა „რეიმსი“, რომელმაც შინ დაამარცხა ლილის „ოლიმპიკი“ — 4:3. მარსელის „ოლიმპიკმა“ ფრედ (0:0) დაამთავრა შეხვედრა „ტრუასთან“, ხოლო „ბასტიამ“ დიდი ანგარიშით (4:0) მოუგო ნიმის „ოლიმპიკს“. ლიონის „ოლიმპიკმა“ და „ნანტმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1.

ლიდერთა მდგომარეობა ასეთია:

	თ.	ბ.	ქ.
„რეიმსი“	14	28:20	20
„ბასტია“	14	25:13	19
„ოლიმპიკი“ (ლიონი)	14	25:19	19
„სენტ-ეტიენი“	14	24:14	18
„ჟირონდა“ (ბორდო)	14	20:17	17

იტალია

გაიმართა ეროვნული პირველობის IV ტური, რომელშიც ლიდერმა — რომის „ლაციომ“ პირველი ქულა დაკარგა: სტუმრად ფრედ (1:1) დამთავრა შეხვედრა აუტსაიდერ „ტერნანასთან“.

ტურინის „იუვენტუსმა“ თავის მინდორზე დაამარცხა „ასკოლი“ — 4:0. ორი გოლი გაიტანა 36 წლის ბრაზილიელმა ალტაფინიმ.

„მილანმა“ სტუმრად მოუგო „რომას“ — 1:0. „ნაპოლიმ“ ქულა დაკარგა გენუაში ადგილობრივ „სამპდორიასთან“ — 1:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა „ჩეზენასა“ და ფლორენციის „ფიორენტინას“ შეხვედრა.

„ლაციო“	4	8:3	7
„ნაპოლი“	4	6:2	6
„ფიორენტინა“	4	4:2	6

(საკ. ინფ.).

* * *

სურათზე: აი, ასე მეურვეობენ ლონდონის „ჩელსის“ მცველები „სტოკ სიტის“ ახალგაზრდა თავდამსხმელს ალან ჰადსონს (მას ზოლიანი მაისური აცვია). საქმე ის გახლავთ, რომ წინა სეზონში ჰადსონი „ჩელსის“ ღირსებას იცავდა და ამ გუნდის მცველმა ჯონ დემპსიმ მშვენივრად იცის ყოფილი თანაგუნდელის სიძლიერის ამბავი.

ე. გრინვუდის (ლონდონი) ფოტო.

თასები, თასები...

დამთავრდა შოტლანდიის ლიგის თასის გათამაშება. გლაზგოს „ჰემდენ პარკის“ სტადიონზე გამართულ ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სელტიკი“ და ედინბურგის „ჰიბერნიენი“.

მატჩში „ჰეთ-თრიკი“ გაკეთდა. ერთი განასორციელა ედინბურგელმა ჯო ჰარპერმა, მეორე კი — გლაზგელმა დიქში დინსმა, რომელსაც ძალიან უყვარს და ეხერხება კიდეც მეტოქის შეცდომების დაუყოვნებლივ გამოყენება. საერთოდ, დინსს უამრავი გოლი გააქვს. მაგალითად, ამ მატჩამდე ერთი კვირით ადრე მან კიდევ ერთი „ჰეთ-თრიკი“ გააკეთა.

ფინალური მატჩი მოიგო „სელტიკმა“, რომლის თავდამსხმელებმა ჯიმი ჯონსტონმა, სტივ მიურეიმ და ჰოლ უილსონმა კიდევ სამი გოლი გაიტანეს „ჰიბერნიენის“ მეკარის ჯიმ მაკარტურის კარში — 6:3.

(საკ. ინფ.).

ორი შეხვედრა

კონსტანტინე, 2 ნოემბერი. ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ აქ გაართულ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ანგარიშით 5:0 დაამარცხა მასპინძელი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონების ფეხბურთელთა ნაკრები.

გლაზგო, 1 ნოემბერი. გასულ ოთხშაბათს აქ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ შოტლანდიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს შოტლანდიელებმა — 3:0 (2:0). ბურთები გაიტანეს ჰატჩისონმა, ბერნსმა და დალგლიშმა. პირველ ტაიმში გდრ-ის ნაკრების მეკარემ კროიმ ჯარდინის მიერ დარტყმული პენალტი მოიგერია.



ისევ ევროპის თასების შესახებ

კალათბურთში ევროპის საკლუბო ტურნირებს შორის მნიშვნელობით მეორეა თასების ფლობელთა თასის გათამაშება. ვაჟთა ასპარეზობის პრიზი დაწესებულია პოლონური გაზეთის „ჰშეგლონდ სპორტოვის“ მიერ. თასის IX გათამაშებაში 22 გუნდი მონაწილეობს.

ფავორიტთა შორის პირველ ყოვლისა ასახელებენ 1973 წლის ტურნირის ფინალისტებს — ლენინგრადის „სპარტაკს“ და იუგოსლავიის ქალაქ სპლიტის „იუგოპლასტიკას“. წლეულს გასაფსულზე თასის VIII გათამაშებაში გამარჯვება ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ იზეიმა. ცხადია, ეს კოლექტივიც ფავორიტთა შორის ირიცხება.

ტურნირში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვთ ბადალონის „სუვენტუდს“ (ესპანეთი), ბოლონიის „ვირტუსს“ (იტალია) და ოლომოუცის „დუკლას“ (ჩეხოსლოვაკია).

ლენინგრადის „სპარტაკის“ ღირსებებსა და შესაძლებლობებზე ბევრს არაფერს ვიტყვით. კალათბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ბოლო საკავშირო ჩემპიონატებში ცსკა-ს ნამდვილ მეტოქეობას მხოლოდ ეს გუნდი უწევს. „იუგოპლასტიკის“ სიძლიერეზე კი მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ კოლექტივს შემადგენლობაში ჰყავს წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის 3 მონაწილე — მცველი ტვრდიჩი, თავდამსხმელი შოლმანი (ევროპის ნაკრებში თამაშობდა ამერიკელებთან გამართულ ამასწინანდელ მატჩებში) და 20 წლის ცენტრალური თავდამსხმელი ერკოვი.

ძლიერი მოთამაშეები ჰყავთ სხვა ფავორიტებსაც. მაგალითად, „ხუვენტუდში“ გამოდიან ეროვნული ნაკრების წევრები სანტილიანა და ესტრადა, „ცრვენა ზვეზდაში“ — მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი სლავნიჩი და კაპიჩიჩი.

ტურნირში, რომელიც სტარტს ხვალ აიღებს, „სპარტაკი“ და „ცრვენა ზვეზდა“ მეოთხედფინალიდან ითამაშებენ.

ქალთა ანალოგიური ტურნირი წლეულს იტალიის კალათბურთის ფედერაციის თაოსნობით ტარდება. იგი ატარებს წარსულში ცნობილი სპორტსმენის ლილიანა რონკეტის სახელს. საბჭოთა კალათბურთელებს, კერძოდ კი ლენინგრადის „სპარტაკს“, პრიზი ზედიზედ სამჯერ აქვს მოპოვებული. წლევანდელ ასპარეზობაში, რომელიც უკვე დაიწყო, ყოველ ქვეყანას 2 გუნდი გამოჰყავს.

დაბოლოს, ვაჟთა კიდევ ერთი ევროპული ტურნირის შესახებ, რომელიც დაარსდა „ბელგრადის“ კლუბის თაოსნობით და ეძღვნება ცნობილი იუგოსლავიელი კალათბურთელის რადივოე კორაჩის ხსოვნას. ტურნირი უკვე არსებობის მეოთხე წელს ითვლის.

წლევანდელი ასპარეზობა მონაწილეთა სიმრავლით სარეკორდოა: დღეს თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება 42 გუნდი, მათ შორის პირველად — საბჭოთა კლუბები „დინამო“ (მოსკოვი) და „სტროიტელი“ (კიევი). ისინი საორგანიზაციო კომიტეტმა თავიდანვე ფავორიტთა სიაში ჩარიცხა, ამიტომ თამაშებს მეოთხედფინალიდან დაიწყებენ. ამავე სტადიაში დაიწყებს შეჯიბრებას თასის ორგზის მფლობელი კანტუს (იტალია) კლუბი „ფორსტი“.

შექმნილია 4 მეოთხედფინალური ჯგუფი. ნახევარფინალებში თამაშის უფლებას მიიღებენ მხოლოდ ჯგუფებში გამარჯვებული კოლექტივები.

„ლელოს“ მიმოხილველი.

ესტონეთის ნაკრების წარმატება

სტოკჰოლმი, 3 ნოემბერი. ესტონეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მეოთხედ მოიხვეჭა „ბალტიკის თასი“ აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. გადამწყვეტ მატჩში მან მასპინძელთა ეროვნულ გუნდს სძლია — 69:63. ამ გამარჯვებამდე ესტონელებმა ფინეთისა და ლატვიის ნაკრებ კოლექტივებს მოუგეს.

ᲙᲐᲛᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲓᲘ

გლაზგო, 3 ნოემბერი. ადგილობრივი სპორტის სასახლე „პროგრესის“ ფიცარნაგზე დღეს დამთავრდა რსფსრ-ს ძალოსანთა ჩემპიონატი, რომელიც ოთხი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. შეჯიბრება დააგვირგვინა მსოფლიოს უძლიერესი ათლეტის, ზემძიმე წონის წარმომადგენელ ვ. ალექსეევის გამოსვლამ. მან 242 კგ აჭარა და წლეულს სექტემბერში მანილის ფიცარნაგზე მსოფლიო ჩემპიონატში დამყარებული თავისივე მსოფლიო რეკორდი 500 გრამით დაამძიმა.

წინადღით კი სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა შესანიშნავმა ათლეტმა დ. რიგერტმა (ქვემძიმე წონა): მან 175,5 კგ აიტაცა, 215,5 კგ აჭარა და ორჭიდის ჯამში 390 კგ დააგროვა. სამივე ძველი მიღწევა რიგერტს ეკუთვნოდა.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის პრიზი გადაეცა როსტოვის ოლქის ნაკრებს, რომელის შემადგენლობაშიც გამოდიოდა ორივე გამოჩენილი გოლიათი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჟურნალის განყოფილებები — 93-97-51, ცირკლების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომძიებები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14 უე 04795